მომიჯნავე შენობების მდგრადობის დასკვნა

(შპს „ჯორჯიან ბილდინგ გრუპი" ქ. თბილისი. ანდრონიკაშვილის 29. ს/კ 01.10.10.018.004)

ცემენტის დაფასოების კვანძი

საპროექტო ობიექტს ესაზღვრება არსებული შენობა და ნაგებობა.

1. „d" რიგის მხარეს მდებარე **N4** საწარმოო შენობა (სურ.1), ზომებით გეგმაში 30.0*156.0*21.6 (h)მ. შენობა ერთსართულიანი, ერთმალიანი ლითონის კარკასია, შემოზღუდული ანაკრები რკბ-ის პანელებით. შენობა აშენებულია 1985...86 წლებში. ვიზუალური დათვალიერებით იგი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.
შენობის მზიდი კარკასის ბიჯი 12.0 მ. სვეტები შედგენილი კვეთის (600*1130 მმ) - ორტოტა საფეხუროვანია. მათ შორის განთავსებულია შემოზღუდვის პანელების სამაგრი ჩალანგრის (ორტ. შედგ. კვეთის - 410*280 მმ) სვეტები.
შენობის კარკასის საძირკველი წერტილოვანი - ხიმინჯებზე, მონოლითური რკინაბეტონისაა. მზიდი სვეტების საძირკველი მოწყობილია ჯგუფურ L = 9.0 მ ხიმინჯებზე, ხიმინჯები - 0.650 მ ნიშნულს ქვემოთ შეკრულია მონოლითური რკბ-ის წერტილოვანი როსტვერკით. არამზიდი / ჩალანგრის სვეტების საძირკველი მოწყობილია იგივე პრინციპით, ცალკეულ ხიმინჯზე. როსტვერკებზე მოწყობილია საძირკვლის რკბ-ის ყელი და შენობის პერიმეტრის გასწვრივ მასზე დამონტაჟებულია რკბ-ის ანაკრები საძირკვლის კოჭები. საძირკვლის კოჭებზე -0.100 მ ნიშნულს ზევით დაყრდნობილია კედლის ანაკრები რკბ-ის მსუბუქი ბეტონის პანელები.
საპროექტო - ცემენტის დაფასოების კვანძის შენობა, არსებული შენობის კიდიდან დაცილებულია 4.4 მ - ით, ლენტური საძირკველი ჩაღრმავებულია - 2.5 მ სიღრმეზე, ხელოვნური - ბალასტის ფუძე მოწყობილია - 4.0 მ სიღრმემდე. არსებული შენობის ხიმინჯოვანი საძირკვლის ჩაღრმავების და ადგილობრივი გრუნტის ფიზიკური (ფერდის დახრის კუთხე) მახასიათებლებიდან გამომდინარე საპროექტო შენობის განთავსება (მშენებლობის პროცეში უსაფრთხოების წესების დაცვით) აღნიშნულ მანძილზე შესაძლებელია და უსაფრთხოა.

2. „IV" ღერძის მხარეს მდებარე არსებული **N10** რკბ-ის სილოსის (დიამეტრი 10.0 მ, სიმაღლე 34.6 მ) ნაგებობა (სურ.2) აშენებულია 1985...86 წლებში. ვიზუალური დათვალიერებით იგი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ნაგებობა დაცილებულია საპროექტო დაფასოების უბნის შენობის კიდიდან მინიმუმ 13.0 მ (IV - b ღერძების კვეთა) მანძილზე. სილოსის საძირკველი მონოლითური რკბ-ის როსტვერკი (დ11.0 მ /ფილა, - 0.50 მ ნიშნულზე) L = 9.0 მ ხიმინჯებზე. ზემოთ აღნიშნული პარამეტრებიდან გამომდინარე საპროექტო შენობის განთავსება (მშენებლობის პროცეში უსაფრთხოების წესების დაცვით) აღნიშნულ მანძილზე შესაძლებელია და უსაფრთხოა.

ცემენტის შესანახი სილოსები

საპროექტო ობიექტს ესაზღვრება არსებული შენობა და ნაგებობა.

ცემენტის შესანახი 2 ცალი V = 750 მ3 (დიამეტრი 6.5 მ, სიმაღლე 22.9 მ), სილოსის საძირკველი, არსებული **N4** საწარმოო (ტექნიკური მახასიათებლები პ.1 - ის მიხედვით) შენობის კიდიდან დაცილებულია 3.2 მ - ით, ლენტური საძირკველი ჩაღრმავებულია - 2.5 მ სიღრმეზე, ხელოვნური - ბალასტის ფუძე მოწყობილია - 4.0 მ სიღრმემდე. არსებული საწარმოო შენობის ხიმინჯოვანი საძირკვლის ჩაღრმავების და ადგილობრივი გრუნტის ფიზიკური (ფერდის დახრის კუთხე) მახასიათებლებიდან გამომდინარე საპროექტო ნაგებობის განთავსება (მშენებლობის პროცეში უსაფრთხოების წესების დაცვით) აღნიშნულ მანძილზე შესაძლებელია და უსაფრთხოა.

მეორე სილოსის მარჯვნივ მდებარე, არსებული **N10** რკბ-ის სილოსის (ტექნიკური მახასიათებლები პ.2 - ის მიხედვით) ნაგებობა დაცილებულია საპროექტო სილოსის საძირკვლის კიდიდან მინიმუმ 13.0 მ მანძილზე. სილოსის საძირკველი მონოლითური რკბ-ის როსტვერკი (დ11.0 მ /ფილა, - 0.50 მ ნიშნულზე) L = 9.0 მ ხიმინჯებზე. ზემოთ აღნიშნული პარამეტრებიდან გამომდინარე საპროექტო შენობის განთავსება (მშენებლობის პროცეში უსაფრთხოების წესების დაცვით) აღნიშნულ მანძილზე შესაძლებელია და უსაფრთხოა.

საწყობის შენობა

საპროექტო ობიექტს ესაზღვრება არსებული შენობა და ღობე

„E“ რიგის მხარეს მდებარე **N4** საწარმოო (ტექნიკური მახასიათებლები პ.1 - ის მიხედვით) შენობის კიდიდან საპროექტო საძირკვლის ღერძი დაცილებულია 0.6 მ - ით, წერტილოვანი საძირკველი ჩაღრმავებულია - 1.0 მ სიღრმეზე, არსებული როსტვერკის ფილის სისქეში. შენობის გარეთ არსებული რელიეფის ნიშნული დღეის მდგომარეობით მერყეობს - 0.3 მ ... - 0.5 მ-ის ფარგლებში. გეგმაში საპროექტო „E“ რიგის წერტილოვანი საძირკვლები აცილებულია ძირითადი ჩარჩოს ღერძებიდან ანუ არსებული საძირკვლის როსტვერკის სიგანის ზომიდან გამომდინარე 1600 მმ-ით.

საპროექტო საწყობის შენობის (მსუბუქი) კონსტრუქციიდან და არსებული საწარმოო შენობის ხიმინჯოვანი საძირკვლის ჩაღრმავების მისი ზედნაშენის, საპროექტო საძირკვლის მცირე ზომის/ჩაღრმავების და რელიეფის ნიშნულიდან გამომდინარე საპროექტო ნაგებობის განთავსება (მშენებლობის პროცეში უსაფრთხოების წესების დაცვით) აღნიშნულ მანძილზე შესაძლებელია და უსაფრთხოა.

დასკვნა

ზემოთ ჩამოთვლილი არსებული შენობების / ნაგებობების კონსტრუქციის და ტექნიკური მონაცემების ანალიზის გათვალისწინებით, საპროექტო შენობის მომიჯნავე შენობების / ნაგებობების კონსტრუქციული მდგრადობა უზრუნველყოფილია და შესაძლებელია საპროექტო შენობების / ნაგებობების პროექტირება, მშენებლობა.

შპს „მუხა.გ“ - ს დირექტორი: გ. გოგოლაძე

(კონსტრუქტორი) 10.04.2023 წ

შენ. 1 - დასკვნას თან ერთვის მომიჯნავე შენობების ფოტომასალა დღევანდელი მდგომარეობით.

შენ.2 - ნიშნულები მოცემულია არსებული საწარმოო შენობის იატაკის დონიდან.




03768.2